№ 111 მაისი 28, სამშაბათი 1891 მაისი 28, სამშაბათი № 111

[stamp] ●ურნალ...

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ...უკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію Грузинской газеты „ИВЕРІА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებლად იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 25 მაისს, ქალაქის თავი, თავ. ნ. ვ-ძე არღუთინსკი-დოლგორუკი, გამგეობის წევრის ბ-ნის იზმაილოვის თანადასწრებით მივიდა საქალაქო სამკურნალოში, რომელიც განოვის ქუჩაზეა. ამას შემდეგ მივიდა ქალაქის გამსახხებელს კასაში. ორივეგან ბ-ნმა იზმაილოვმა წარუდგინა ქალაქის თავს ამ დაწესებულებათა მოსამსახურენი. აქედამ თავ. არღუთინსკი მივიდა ქალაქის კასსაში და, თანადასწრებით მთელის გამგეობისა, დასთვალა ქალაქის კასსა. ამისათვის საგუბერნიო ხაზინიდამ წინადვე დაბარებული იყო ზანდუკი, ფასიანის ქაღალდებისა და დოკუმენტებისა, რომელიც ხაზინაშია ხოლმე შენახული.

თავ. არღუთინსკიმ ყველაფერი რიგისა და წესისამებრ ჰნახა და ჩაიბარა.

*** უწმინდესი სინოდი ცირკულიარით სწერს სასულიერო სემინარიების გამგეობათ, რომ მოსწავლეთა ეხლანდელს გამოცდის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეგირდების მიერ საეკკლესიო გალობის ცოდნასა და, ვინც-კი სუსტად მომზადებული დაინახოთ ამ საგანში, შემდეგს კლასში ნუ გადაიყვანთო.

*** საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიის კონფერენციას ამ თთვის 18 „მედიცინის დოქტორობის“ უფლება მიუნიჭებია, სხვათა შორის, ორის ჩვენის თანამემამულესათვის—კაწაძისა და სეთაგურისათვის.

*** მეფე ერეკლეს ოჯახის ხატების უმეტესი ნაწილი დარჩენია მეფის ერეკლეს უმცროს ქალს თეკლე ბატონიშვილს. ეს ხატები მემკვიდრეობით მიიღო თ. ევ. ქობულოვმა და დღეს იმისს სახლში აწყვია, ხატები ძლიერ ბევრია. მათ შორის ბევრი მეტად ძველის-ძველი ხატიც ურევია და ჩვენს ისტორიკოსებს ჯერ არ უნახავთ, რადგანაც კერძოდ ერთს სახლში ეწყო და ვერავინ ხვდებოდა. ამიტომ კარგი იქნება, რომ ეს ხატები თ. ევ. ქობულოვმა ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეის შესწიროს.

*** ახლად განსვენებულმა დიმ. ფურცელაძემ რომ ამ ოც-და-ხუთის წლის წინად საქართველოს საეკკლესიო ისტორია დაბეჭდა, დღეს სულ აღარ მოიპოვება. ამიტომ მას ხელახლა დაუწერია ისტორია, მაგრამ ვრცლად-კი, ასე რომ, როგორც თვით ამბობდა ხოლმე, სულ სამი წიგნი იქნება. ეს ხელთ-ნაწერი ისტორია მას გაუგზავნია მოსკოვის მიტროპოლიტ იოანიკესთვის და მისთვის უთხოვნია, ამის დაბეჭდვაში დახმარება აღმომიჩინეო. ამაზე მიტროპოლიტმა იოანიკემ მოსწერა, თქვენი ისტორია, როგორც ისტორიული გამოკვლევა, კარგია და როგორც სახელმძღვანელოკი, ვერ გამოდგებაო. ამიტომ დაგიბრუნებთ ამ ისტორიას და დაგავალებთ, რომ აქედამ სახელმძღვანელო წიგნი შეგვიდგინო და უწმინდესი სინოდი ამ წიგნს არამც თუ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში შემოიღებს არამედ რუსეთის სემინარიებშიაცა, რადგან სინოდს ჰსურს, რომ საქართველოს ეკკლესიის ისტორიას რუსეთის ყველა სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდნენო.

ფურცელაძემ თხოვნა მიიღო თუ არა, მაშინვე მიაქცია ამას ყურადღება და დაიწყო გადაკეთება, მაგრამ სიკვდილის ორის კვირის წინად ეთქვა, ეს წიგნი ჯერ ვერ გავათავე, რადგან თვალის ტკივილი მიშლის წერაშიო.

*** ამ დღეებში ბ. ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა ისტორიული დრამა, თხზულება ჯამბაკურიან-ორბელიანისა, ოთხ მოქმედებად „მეფე დავით აღმაშენებელი“. ეს დრამა ალ. ორბელიანს ყველა ქართლს სათეატრო ნაწერზე ადრე დაუწერია. ე. ი. 1846 წ. წიგნი 120 გვერდია და ღირს 40 კაპ.

*** ლატარია-ალეგრიდამ, რომელიც გამართა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 12 მაისს 1891 წელს მუშტაიდის ბაღში, შემოვიდა: ბაღში შესასვლელ და სალატარიო ბილეთებიდამ 2534 მან. და 12 კაპ., ბუფეტიდამ 56 მან. და 85 კაპ., შემოწირული ფულად 141 მან. და სულ 2731 მ. და 97 კაპ.

ლატარია-ალეგრის გამართვა-მოსაწყობად და ნივთების საყიდლად დაიხარჯა 705 მან. და 68 კაპ. ხარჯს გარდა წმინდა მოგება დარჩა 2026 მ. და 29 კაპ.

მმართველობა საზოგადოებისა აცხადებს-რა ამ ანგარიშს საყოველთაო საცნობლად, ამასთანავე თავისს უგულითადესს მადლობას უძღვნის ყველა იმ პატივცემულ კაცთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ლატარიაალეგრის გამართვის საქმეში და ხელი შეუწყეს ანუ თავისის პირადის შრომითა, ანუ შემოწირულებით.

*** მარტყოფის სადგურიდამ ამბავი მოვიდა, შაბათს აქ დიდი მიწის ძვრა იყოვო.

*** „ნორ-დარ“-ს სწერენ, სოფ. თელეთიდამ, რომ იმ სოფელში კალია გაჩენილა, მინდვრებს მოსდებია კიდეც და ამის გამო რამდენიმე კაცი ტარბის მოსაყვანად წასულა.

*** 25 მაისს მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებელმა ელისაბედ ზოლდირევისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამ თთვის 24, საღამოს ცხრა საათზე, სახლში ჩემის არყოფნის დროს გამოდიდამ 560 მ. მოიპარესო. ეჭვი თავისს მოსამსახურეს პეტრე ხოტუშზე გამოაცხადა.

*** ამავე დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, სომხის სასაფლაოს მახლობლად სპარსეთის ქვეშევრდომს ქერბალაი ზეინალ-ოღლის ცოლი მოუკლა თავისმავე ძმამ სადიმ ზეინალ-ოღლიმ.

—

*** შეცდომის გასწორება. „ივერიის“ 110 ნომერში, ახალ-ამბავში, სტამბური [illegible] შეცდომა შეგვეპარა. დაბეჭდილ[illegible], რომ დ. ა-ძეს სუმბათაშვილს [illegible]ქი ამოუვიდა 82 თეთრი და 10 შავი, უნდა იყოს—82 თეთრი და 103 შავი [illegible].

## კრება ტფილ[illegible] გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელი მოსწავლეთა შემწეობისათვის.

(იხ. „ივერია“ № 105)

გ. სულხანიშვილი. ჯაჯანაშვილს რომ ჰკითხოთ, სასწავლებელი ისეა მოწყობილი, რომ უკეთესი არ შეიძლებაო. გარშემო-კი მხოლოდ ის ისმის, რომ საქმე ძალიან ცუდად არის წარმართულიო. საზოგადოდ ყოველსავე სწავლას აზრი რამ, საგანი რამ უნდა ჰქონდეს. თვით ხელმძღვანელებმა უნდა იფიქრონ რამე ამის შესახებ და გადასწყვიტონ რითიმე ეს საგანი. ყმაწვილს ისეთი სწავლა უნდა მიეცეს, რომ ამ სწავლამ აცხოვროს და ასაზრდოვოს. ამიტომ, ჩემის აზრით, ყოვლად საჭიროა, რომ პროგრამმა შეიცვალოს.

ივ. მაჩაბელი. ჩვენი სასწავლებელი ოთხის მოსამზადებელ განყოფილებიბისა და ორის პროგიმნაზიულ კლასისაგან შესდგება. მართალია, საყვედური ისმის, ამ სასწავლებელში შედარებით ეხლა უფრო ცოტა მოსწავლეცა სწავლობს, მაგრამ სწავლის საქმე უკეთ არის დაყენებული, ნაყოფი მეტი მოაქვს სასწავლებელს. საყვედური ბევრი გაისმის, მაგრამ უსაფუძვლო, უსაბუთო-კი. უნდა ვეცადოთ, რომ ეს უსამართლოდ გატეხილი სახელი კვალად აღვუდგინოთ. ეხლა ცოტ-ცოტა უფრო მეტი ნდობა უნდა მოიპოვოს სასწავლებელმა. დალოცვილებო, ჯერ გაიცანით და წუნი ისე დასდეთ. დარწმუნებული ვარ, როცა კარგად გაიცნობთ, სასწავლებელს კარგი სახელი გაუვარდება.

გ. სულხანიშვილი. თავად-აზნაურობას ის უნდა, რომ მათმა შვილებმა სრული, დამთავრებული განათლება მიიღონ, სწორედ ისეთი, როგორიც გიმნაზიაშია—კლასიკური განათლება. ტყუილად დავხურეთ ის სამი კლასი. რაც უფრო გიმნაზიის უფროს კლასშია მოწადინებული ყმაწვილი გადავიდეს, მით უფრო ადვილად ჰპოულობს ადგილს. რომ არ დაგვეხურა, ეხლა ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვექნებოდა და ყველანი შეიძლებდნენ უნივერსიტეტში შესვლას.

დ. ი. მუსხელიშვილი. სწორედ თითო კლასი უნდა მოვუმატოთ ყოველ წლივ. ჩვენს სასწავლებელში სწავლადამთავრებულთ უნივერსიტეტშიაც მიიღებენ, ხარკოვსა და ოდესას. ამ ადგილებში მიდგომა არ იციან. 1872 წ. რამდენიმე ღარიბი ქალი გაემგზავრა შვეიცარიაში და თთვეში თუმნად ცხოვრობდნენ. ჩვენ 25 მან. მივცეთ, თუ გაჭირდა საქმე, და საზღვარ-გარედ გავგზავნით, თუმცა, ჩემის აზრით, ესეც-კი საჭირო არ იქნება, რადგან, ვიმეორებ, რუსეთშიაც მიიღებენ ჩვენს ყმაწვილებს. რაც შეეხება ფულის შოვნას, არ უნდა დავუკლოთ გლეხებს $^1/_2{}^0/_0$; დივიდენდიც უნდა გაგვეუქმებინა და ფული საკმაოდ გვექნებოდა.

ვაჩნაძე. განაუკეთესეთ სასწავლებლის საქმე. ეხლა სასწავლებელი საუცხოოდ არის წარმართული, თითო კლასიც მიუმატეთ.

ალ. ჭიჭინაძე (ინსპექტორი). უნდა მოგახსენოთ, რომ როცა სასწავლებელი ჰმატულობდა, შემოსვლის მსურველიც ბევრი იყო, ეგონათ, რომ გიმნაზიად დამთავრდებაო. მერე, რაკი ჰნახეს, რომ უკან ბრუნდებიანო, იმათაც გზა აგვიხვიეს და კვლავ გიმნაზიას მიაწყდნენ. გიმნაზიას იმიტომ ეტანებიან, რომ ის დამთავრებული სასწავლებელია. აქა სთქვეს, რომ რა სარგებლობა მოაქვს მაგ სასწავლებელს, ორიოდე ყმაწვილი ძლივს გადასულა გიმნაზიაშიო. ამის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ ქუთაისის გიმნაზიაში წელიწადში 15 ყმაწვილი ამთავრებს სწავლას, ტფილისისაში—30, თუმცა დიდ-ძალს ფულს-კი ჰხარჯავს ორივე გიმნაზია. მაშ განა ამ თხუთმეტის კაცის სწავლა-დამთავრებით უნდა დავაფასოთ გიმნაზია? აუარებელი სხვაცა სწავლობდა ამ გიმნაზიაში, რომელნიც ცხოვრებაში გამოვიდნენ და ლუკმა პური მოიპოვეს. ჩვენის სასწავლებლიდგან ბევრი გიმნაზიაში არ შევიდა, სხვა სასწავლებლებში გაიფანტა. ამიტომ იმის კვალობაზედ არ უნდა დავაფასოთ ჩვენის სასწავლებლის მნიშვნელობა, რამდენი გადავიდა გიმნაზიაშიო. ამას გარდა, ნუ დავივიწყებთ, ერთი ის დიდი ღირსება აქვს ჩვენს სასწავლებელს, რომ საგნებს ჩვენს დედა-ენაზედ ასწავლიან...

გ. სულხანიშვილი. მე იმიტომ ვთქვი, სასწავლებელი არ გვაკმაყოფილებსმეთქი, რომ ყმაწვილებს გზას ვერ უკვლევს უმაღლეს განათლებისაკენ. უეჭველად დამთავრებული სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ. ვინ ამბობს, ძალიან კარგია, რომ ჩვენს დედაენას ასწავლიან, მაგრამ უნდა გადასწყდეს-კი, რა ხასიათი მიეცეს სწავლას. კომისია უნდა ამოვირჩიოთ და იმას მივანდოთ ეს საქმე, რომ ყმაწვილებმა უმაღლესი განათლებაც მიიღონ.

ი. ს. გოგებაშვილი. ჩვენმა სასწავლებელმა რომ უფრო მომეტებული სარგებლობა მოგვცეს, მოსამზადებელს კლასებს ის უფლება უნდა მოვუპოვოთ, რომ ყოველს მოწაფეს, რომელიც კარგად დაიჭერს ეგზამენს სათავად - აზნაურო სასწავლებელში მთავრობის დეპუტატების წინაშე, მიეცეს მოწმობა მოსამზადებელ კურსის შესრულებისა და ამ მოწმობით დაიხსნას თავი მისაღებ ეგზამენისაგან სხვა-და-სხვა სასწავლებელში შესვლის დროს. მოსამზადებელ კლასებთან, კლასიკური-კი არა, სრული რეალური სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ და უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლისთვის მოვამზადოთ მოსწავლენი. ეს სასწავლებელი უნდა დაარსდეს ლიხის მთის მახლობლად ორივ ქართულის ბანკისა და საქართველოს ორივ ნაწილის თავად-აზნაურობის შეერთებულის ძალით *).

დ. ი. მუსხელიშვილი. მეც წინააღმდეგი ვარ კლასიკურ განათლებისა და თუ ვეთანხმები, მხოლოდ იმიტომ—, რომ თავად-აზნაურობას უნდა გზა ჰქონდეს თავისს შვილებს უმაღლესი განათლება მისცეს. რეალური გიმნაზიაკი ასეთს გზას არ აძლევს. თუ კომისიას მიანდობთ მაგ საგნის გადაწყვეტას,

*) რადგან ამ სიტყვამ ი. ს. გოგებაშვილისამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია, ამიტომ აქ მოკლედ ვბეჭდავთ და შემდეგ-კი ვრცლად დავბეჭდავთ ცალკე ჩვენსავე გაზეთში.

უკეთესი რაღა იქნება. უეჭველად-კი სრული სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ. მე თითონ სახელმწიფო სასწავლებელში ვსწავლობდი და ძალიან ცუდის აზრისა ვარ ამ სასწავლებლების შესახებ. ეხლაც ასევეა თურმე. თუ სრული სასწავლებელი მოვიხერხეთ, ჩვენი შვილები არ დაიჩაგრებიან და თითქმის თავისს ოჯახში იქნებიან.

ა. ზ. ჩოლოყაშვილი. მაშ ეგრე გადავწყვიტოთ: ანგარიში დავამტკიცოთ; ბ-ნის გოგებაშვილის ჩვენ მიერ მოწონებული აზრი კომისიას გადავცეთ განსახილველად და დავავალოთ, რომ შემდეგს საზოგადო კრებას წარმოუდგინონ თავისი გარდაწყვეტილება.

დ. მაღალაშვილი. (თავმჯდომარე) ანგარიშის შესახებ საქმე სრულიად გამოირკვა, ხოლო ბ-ნი ჩოლოყაშვილის აზრისას რას იტყვით?

ა. ფურცელაძე. ამ სამისა თუ ოთხის წლის წინად კომისია იყო, მაგრამ არა გაუკეთებია-რა. ჩემის აზრით, საქმის ეგრე გახიახებას ისევ ისა სჯობია კლასები მივუმატოთ და კლასიკური სისტემა ისევე დავტოვოთ.

ა. ზ. ჩოლოყაშვილი. თუ იმისი შიში გვაქვს, რომ საქმე გახიახდებაო, კომისიის აზრის განსახილველად საგანგებო საზოგადო კრება მოვიწვიოთ.

დ. ი. მუსხელიშვილი. აქ ორი საგანია გადასაწყვეტი. ჯერ ის უნდა გადავწყვიტოთ, ანგარიში დამტკიცებულ იქმნას, თუ არა.

ანგარიში დამტკიცებულ იქმნა.

დ. მაღალაშვილი (თავმჯდომარე). ადრეც დავადგინეთ, გვეთხოვნა იმის უფლება, რომ ჩვენის სასწავლებლის მოწაფეებს გიმნაზიის სწორედ იმ კლასში შესძლებოდათ შესვლა უეგზამენოდ, რომლიდგანაც გადიოდნენ. ამას გარდა, სრული გიმნაზიაც გვინდოდა...

ი. ს. გოგებაშვილი. ვიშუამდგომლეთ, მაგრამ ჩვენს პირობებზედ არ დათანხმდნენ.

ი. გ. ჭავჭავაძე. მაშინ იმის შესახებ არა თქმულა-რა, რა გვარი სასწავლებელი ვიქონიოთო.

დ. მაღალაშვილი. ისიც უნდა გადავწყვიტოთ, პროექტი რა ხარჯის კვალობაზედ უნდა შევიმუშაოთ, შეძლება გვაქვს რამე, თუარა, რომ ფეხიც საბნის კვალობაზედ გავჭიმოთ. თუ შეძლება არ მოგვეპოვება, ტყუილი თავის ტკივილი იქნება.

ი. გ. ჭავჭავაძე. ამ რამდენისამე ხნის წინად თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, ჩვენ გავიწეროთ ფულიო. ამ მხრით, რაც საჭირო იყო, ფორმალურად ყველაფერი მზად არის, მინისტრთანაც არის ნება-რთვის ქაღალდი გაგზავნილი, მაგრამ აქამდე არ მოგვსვლია ნება. თუ ეს ნება-რთვა მოგვივიდა, 400,000 მანათამდე ფული შეგვიგროვდება. თუნდა 200,000 იყოს, 100,000, 50,000, მაინც დიდი ფულია. დავადგინოთ და თავად-აზნაურობის საგუბერნიო კრებას ვთხოვოთ, რომ კვლავ იშუამდგომლონ და ეს ნება-რთვა აიღონ.

საერთო ხმა. ვთხოვოთ, ვთხოვოთ.

ი. გ. ჭავჭავაძე. ამ საქმის დაბოლოვებამდე-კი მესამე კლასიც მივუმატოთ სასწავლებელს. სადაც 28,000 მანათი იხარჯება, იქ ორას-სამასი თუმანი დასაშური აღარ არის. რაც შეეხება იმას, თუ რა ხასიათი მივცეთ მერმისში სასწავლებელს, შემოდგომამდე ამისი პროექტი შევიმუშაოთ და მერე გადავწყვიტოთ ეს საგანი.

ი. გ. ჭავჭავაძის წინადადება მიღებულ იქმნა. შემდეგ კრებამ მოისმინა მერმისის ხარჯთ-აღრიცხვა, დაამტკიცა და აგრეთვე მესამე კლასის მიმატებაც გადასწყვიტა. ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, რომ 1891 წლის პირველ მაისიდგან 1892 წ. პირველ მაისამდე სასწავლებელს ხარჯი 27,820 მანეთი ექნება, ხოლო თუ მესამე კლასიც მიემატა, მაშინ ამისათვისაც კიდევ 1,740 მან. დასჭირდებაო. კრებამ გადასწყვიტა, რომ ეს ფული ვთხოვოთ სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო წევრთა კრებასაო.

ა. ა.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება

(იხ. „ივერია.“ №№ 101—104 და 107—109).

17 მაისი

ამ დღეს, ნაშუადღევის პირველის ნახევარს საათზედ, კრებაზედ გამოცხადდა სულ 175 წევრი, ამათში 152 დამფუძნებელი და 25 მსესხებელი. კრების დაწყებისათანავე უწინარეს ყოვლისა დამტკიცებულ იქმნა წინა დღის ოქმი.

თავმჯდომარე კრებისა. ორი აზრი იქმნა აქ გუშინ გამოთქმული—ერთი, დავაკლოთ ½%-იო, მეორე—ნუ დავაკლებთო. ამას გარდა, რამდენიმე სხვა აზრიც გამოითქვა. რომელს ვუყაროთ კენჭი?

გ. ორბელიანი. ბ-ს მ. ვ. მაჩაბელს სიტყვის თქმის ნება მივცეთ, მაგას ეგ საგანი შესწავლილი აქვს და გაგვაგებინებს.

მ. ვ. მაჩაბელი. თანდათან უფრო ვოცდები ამ მოულოდნელის ამბებით. ხან სულ არ მალაპარაკებენ, ხან თითონვე მთხოვენ, ილაპარაკეო. ოთხივ-კუთხივ ისეთი სტვენა გაისმის, თითქოს თეატრის არტისტი ვიყო, და ამიტომ არ შემიძლიან ლაპარაკი.

თავმჯდომარე კრებისა. მაშ რას იტყვით, კენჭი ვუყაროთ ამ საგანს, თუ ფეხზედ ადგომით გადავწყვიტოთ?

ა. ზ. ჩოლოყაშვილი. ზოგიერთს ორი ხმა აქვს და ამიტომ უეჭველად კენჭი უნდა ვუყაროთ ამ საგანს.

ი. გ. მაჩაბელი. ჯერ საგანი უნდა გავიცნოთ კარგად და მერე ვუყაროთ კენჭი.

ლ. ჯანდიერი. დიდად შესანიშნავი საგანია და ასე საჩქაროდ მისი გადაწყვეტა არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ზოგნი დღეს მოვიდნენ. გამგეობის წევრებმა აგვიხსნან და აგრეთვე მ. ვ. მაჩაბელმაც თავისი აზრი სთქვას.

დ. ი. ავალიშვილი. რაც უნდა განვმარტოთ, მაინც რიგიანად ვერ გადავწყვეტთ, საგანი-კი მეტად საფრთხილოა, რადგან ორი საწინააღმდეგო აზრი ტრიალებს და ორივენი ერთსა და იმავე საფრთხეს გვიქადიან. ერთნი ამბობენ, რომ ½% დაუკლეთ, თუ არ გინდათ ბანკი დაიღუპოსო, მეორენი—ნუ დაუკლებთ, თორემ ბანკი დაიღუპებაო. ამისათვის, ჩემის აზრით, კარგს ვიზამთ, რომ ეს საგანი საერთო კრებას ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობისას გადავცეთ და იმას მივანდოთ მისი გადაწყვეტა.

ა. ზ. ჩოლოყაშვილი. მაგათაც რომ გადასწყვიტონ, მაინც საჭიროა, რომ ჩვენი აზრი იცოდნენ კარგად. მ. ვ. მაჩაბელს მიეცით ლაპარაკის ნება და თუ უარი სთქვა, აშკარაა არავითარი საბუთი არა ჰქონია ½% დაკლების წინააღმდეგ.

ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. მეტად ძნელი საკითხია გადასაწყვეტი და მისი საზოგადო კრების მიერ განხილვა შეუძლებელია. გუშინ შვიდი საათი ვილაპარაკეთ, რამდენიმე ერთი მეორის წინააღმდეგი აზრი წარმოითქვა, მაგრამ ვერა გადავწყვიტეთ-რა. ყველა ჩვენგანმა წვრილად უნდა იცოდეს საგანი, რომ ან ავს დაადგეს და ან კარგს. ჩემის აზრით, ზედამხედველს კომიტეტსა და გამგეობას რამდენიმე კაცი — ფინანსების საქმის მცოდნე მივაშველოთ და იმათ გადასწყვიტონ ერთად.

დ. ი. მუსხელიშვილი. ჩემის აზრით, მართლა კარგი იქნება საფინანსო კომისია ამოვირჩიოთ. ამ კომისიას მივანდოთ, რომ, თუ საჭიროდ დაინახავს, ივლისიდგან ⅛% დაუკლოს, დეკემბრიდგან ⅛% და მერმის ივლისიდგან კიდევ ¼%.

გ. შაჰ-აზიზიანცი. ზედამხედველ კომიტეტის აზრი ადრევე დაბეჭდილი არ არის, რომ გავიგოთ რამე მისი. როგორც ვხედავთ, ყოველს ათს კაცს თხუთმეტი აზრი აქვს აქა. თუ ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის წევრებს რაღაც საფინანსო კომისიაც მივუმატეთ, აზრთა სხვა-და-სხვაობა ისე იმრავლებს, რომ ამ საგანს არასოდეს არ მოეღება ბოლო. ან რომელი ფინანსტები გვყავს, რომ საგანგებოდ მოვიწვიოთ, ლონდონიდგან ხომ არ გამოვიხმობთ! ეს საგანი ეხლავე უნდა გადაწყდეს, რადგან დღით-დღე ჩვენი მსესხებლები სხვაგან გადადიან. ამ საქმეს უნდა ეშველოს რამე. თუ ბანკის გამგეობის სახარჯო % არ დავუკელით, ტყუილი იმედი გვექნება მსესხებლების აქ დარჩენისა. სამართლიანობაც ამას მოითხოვს, რომ დავუკლოთ %-ს. მართლაც-და ჩვენკენაც მოიხედეთ. ბანკის გამგეობის სახარჯოდ დამფუძნებელი წევრები სულ ¼% იხდიან, ქალაქის მსესხებლები-კი, ეს გერები, თქვენი სტუმრები,—1½%. ამას იქით რაღად გადავიხდით ამ მეტს ფულს, თუ თქვენც შეღავათს რასმე არ მოგვცემთ.

ი. გ. მაჩაბელი. შაჰ-აზიზიანცი მართალს ამბობს: ჯერ ეხლავე ხუთი კაცია და აზრი-კი რვა აქვთ. იმ კომისიაშიც ასევე იქნება. ნუ დაგვიწყდებათ, რომ მაგ ½% დაკლებით 60,000 მანეთით შემცირდება ბანკის მოგება და იძულებულნი ვიქნებით, სასწავლებელი გავაუქმოთ. გაჭირებული რომ იყოს საქმე, და მაშინ გაუქმდეს, რა გაეწყობა—ნაყოფი ხეს უნდა ენაცვალოს და არა ხე—ნაყოფს, მაგრამ არც ასეთი გაჭირება მოგვდგომია კარს. სოფლის მამული, თუ გლეხისაა, ვერსად გადავა, გზა არა აქვს. თავად-აზნაურობაც, იმედია, შორს არ გაგვიდგება, თუ ფორმალიზმმა არ გაუთხარა ძირი. დარწმუნებული ვარ, ¾%-თვისაც არ გადავლენ. ბაქოსა და ერევანში კერძოდ 18—20% იხდიან და ნუ თუ ჩვენ 7% არ მოგვცემენ? ბანკს ძირის თანხა 500,000 მან. აქვს, ერთი ამდენივე სხვა თანხებიც მოეპოვება და ისე ადვილად ვერ დასთმობს მსესხებელი. თუ გადავლენ-და, მივდგებით, მოვდგებით, ვეცდებით, და ვუშველით რასმე საქმეს, 5% გირავნობის ფურცლების სესხს მივცემთ. სხვა რომ არა იყოს-რა, განა მსესხებელი მოინდომებს, რომ ½% გულისთვის გადაიტანოს და შემწეობა მოაკლოს ჩვენს სასარგებლო დაწესებულებას? ბანკს ამ მხრივ არავითარი შიში არ მოელის და ამიტომ, ჩემის აზრით, კარგს ვიზამთ, რომ ეს ½% უსაბაბოდ არ დავუკლოთ.

ნ. თ. ჩოლოყაშვილი. ბ-ნს ი. მაჩაბელს ერთი აზრი აქვს, მ. ვ. მაჩაბელს—მეორე დ. ავალიშვილს—მესამე, ოც-და-ოთხი აზრია. სადა ვარ? რა სამართალია, რომ მე გამიმართავთ და სხვებს-კი ეუბნებით, ნუ შემოიტანთო, სოფლელებს ნუ დავუკლებთ, ისინი მაინც ვერსად წავლენო? თუ დაკლებაა, იმ საცოდავებს რატომ აღარ უნდა დააკლდეს. რა თანასწორობა იქნება, რომ გლეხი გამოაკლდეს ამ შეღავათს? უამისოდ სასწავლებელი დაიღუპებაო. არ მესმის, როცა ბანკის გამო ჰლაპარაკობენ, სკოლას რაღად აკვიატებენ ხოლმე ზედ. თუ გული შესტკივა ვისმე სასწავლებლისათვის, ამოიღონ ერთი ასიოდე თუმანი და შესწირონ. შეხედეთ, გარშემო სულ ბრწყინვალე თავადიშვილები გვახვევიან, სულ მილიონის პატრონები, მუნდირებითა და ეპოლეტებით გამოწყობილები. რაღას ელიან, გაიკრან რაღა ჯიბეზედ ხელი, დაეხმარონ სასწავლებელს, ბანკისაკენ რას გაუშვერიათ ხელი—სასწავლებელი, სასწავლებელიო. ბანკი რომ არა ყოფილიყო, სასწავლებელი არ გინდოდათ? რა სამართალია, რომ სხვას გადავახდევინოთ ერთი-ორად სარგებელი მარტო იმიტომ, რომ სასწავლებელს ხარჯი და შენახვა უნდაო.

ა. ზ. ჩოლოყაშვილი. ჩემი მეგვარეული ამბობს, რომ თუ გადასახდელია, ყველას თანაბრად უნდა გადახდესო. საქმე ეს-კი არ არის, საქმე ჯერ ისაა, გადავწყვიტოთ, დავუკლოთ ½%, თუ არა. აქა სთქვეს, რომ სხვა ფინანსისტებიც მოვიწვიოთო და იმათ განვახილვინოთ საქმე ზედამხედველს კომიტეტსა და გამგეობასთან ერთადაო. მე წინააღმდეგის აზრისა ვარ, მეც რომ მიმიწვიონ, უარს ვიტყვი, რადგან მეტად საფრთხილო საგანია და, ჩემის აზრით, აქვე, კრებაზედ უნდა გადაწყდეს.

გ. ი. თარხნიშვილი. ივ. მაჩაბელმა ეს არის ეხლა სთქვა, რომ ჩვენის ბანკის საქმე ძალიან კარგად არის დაყენებული და ძვირიც რომ იყოს ჩვენი სესხი, მაინც მსესხებლები ჩვენგან არსად გადავლენო, თუმცა აქამდე სულ წინააღმდეგს ამბობდა. ეს არაფერი, მაგრამ არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ის გარემოება, რომ ბ-ნი მაჩაბელი სცდილობს შეაშინოს საზოგადოება, აფრთხილებს—სასწავლებელი დაიკეტებაო, რათა თავისს აზრს მომხრეები მოუპოვოს. მე უნდა მოგახსენოთ, რომ შიში არაფერია მოსალოდნელი, ამ % დაკლებას ჩვენის სასწავლებლის არსებობასთან არავითარი კავშირი არა აქვს; რაც უნდა მცირე შემოსავალი გვქონდეს, იმდენი მოგება მაინც გვექნება, რომ ეს ფული სათავად-აზნაურო სასწავლებელსაც ეყოს და წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელსაც. ჩვენი სასწავლებელი არსებობს და ამიერიდგანაც არა დაუშლის-რა არსებობას. უეჭველად უნდა დავუკლოთ ½%, თუ გვინდა, რომ მსესხებლები არ წაგვივიდნენ. ჩემის აზრით, ½% დავუკლოთ მხოლოდ ქ. ტფილისისა და ბაქოს მსესხებლებს. ამ ქალაქებიდგან, რაც უნდა მამული დაგვრჩეს, მაინც გაგვეყიდება. ნუ დავუკლებთ იმისთანა მოშორებულს პროვინციებს, როგორიც, მაგალითებრ, ერევანია, განჯა და სხ. ხმა დადის, რომ პროექტია შედგენილი და განზრახვა აქვთ ბაქოშიაც დააარსონ საკრედიტო დაწესებულებაო. თუ ეს ხმა მართალია, მით უფრო საჭიროა, რომ დავუკლოთ.

თავმჯდომარე კრებისა. საგანი საკმაოდ გამოირკვა და ამიტომ კენჭი ვუყაროთ.

ლ. ჯანდიერი. ბევრმა ჩვენგანმა ვერა გაიგო-რა მაგ საგნისა და ამიტომ კენჭის ყრა ჯერ ადრეა. ხომ ყველამ კარგად ვიცით, ბატონებო, რას ჰნიშნავს კენჭის ყრა, როცა კრების უმეტესობას საგნის ავ-კარგიანობისა არა ესმის-რა. კიბეზედ რომ შეჰხვდებიან ერთმანეთს, ჰკითხავენ ხოლმე, სად ჩავაგდოო. თუ რიგიანი და მართებული კაცია, ეტყვის, თუ არ იცი, სად ჩააგდო, სად-ღა მოაბოტებო; თუ სინიდისს მაგდენად არ აფასებს, იქით აჩვენებს გზას, საითკენაც თავისთვის სასარგებლოა. მაგალითად, კერძოდ მე საგანი ვერ გამოვირკვიე კარგად და უარს—ვამბობ, ვერც თეთრს კენჭს ჩავაგდებ, ვერც შავს. ჩემის აზრით, კარგს ვიზამთ, რომ ამ საგნის გადაწყვეტას ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულს კრებას მივანდობდეთ.

ი. გ. მაჩაბელი. ვიმეორებ, საშიში არაფერია და ტყუილად გეშინიანთ მსესხებლების გადასვლისა. მსესხებლები არ გადავლენ იმ ბანკში, სადაც სესხი ჩვენზედ ნაკლებ ძვირად არ არის: საკრედიტო საზოგადოებაში ფულის მიმომდინარე ანგარიშზე შემტანს 2% აძლევინებენ, გამომტანს 9%. აქ მისაყვედურეს, საზოგადოების შეშინება და ამით გადმობირება უნდოდაო. ეს-კი არა, მე სიმართლე იმიტომა ვსთქვი, რომ გული შემტკივა ჩვენის სასწავლებლისათვის, მეც ამ სასწავლებლის კომიტეტის ერთი წევრთაგანი ვარ. გუშინ ამ სასწავლებლის შესახებ იყო კრება და სულ იმას ვამბობდით, ფული არა გვაქვსო. აქ-კი ამბობენ, არ მოისპობაო. როგორა მერე, არ მესმის. თუ გინდათ ხარჯთ-აღრიცხვას წარმოგიდგენთ სასწავლებლისას, რამდენი ფული სჭირდება. აქამდე მომავალ მოგებიდგან ვაძლევდით, საზოგადო კრების გადაწყვეტილებისამებრ, თუმცა ეს გარდაწყვეტილება უკანონოა, და მეც ხელს ვაწერდი ხოლმე ფულის ქაღალდს, თუმცა უფლება მაქვს არ დავემორჩილო უკანონო გარდაწყვეტილებას. ვაწერდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ მოგება გვექნებოდა. ამიერიდგან-კი აღარ მოვაწერ, რადგან მოგება არ გვექნება, მეტადრე თუ ½% დავუკელით.

გ. ი. თარხნიშვილი. მართალია, შეუძლიან არ მოაწეროს, უკანონობაა, მაგრამ ამ უკანონობას სამის წლის განმავლობაში-კი არ გაურბოდა ბ-ნი ივ. მაჩაბელი, და ეხლა ამბობს, არ მოვაწეროო. თუ ეგ არ მოაწერს, მე მოვაწერ, ბატონებო, ჩემი მეორე ამხანაგი მოაწერს და სასწავლებელს არა დაუშავდება-რა

დ. ი. მუსხელიშვილი. მე, როგორც ზედამხედველ კომიტეტის წევრმა, კარგად ვიცი ეს საქმე და უნდა მოგახსენოთ, რომ ი. გ. მაჩაბელი მართალია. მართლაც წრეულს მოგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა არ გვექნება, თუ 1/2% დავაკლით. ივ. მაჩაბელს მართლაც კანონი ნებას არ აძლევს, ხელი მოაწეროს სასწავლებლის ფულის ქაღალდზედ მომავალ მოგების იმედით, თუმცა ვერც უარს იტყვის, რაკი საზოგადო კრებამ გადასწყვიტა, მერმისის მოგებიდგან მიეცეს სასწავლებელს ფულიო. რად უნდა დავუკლოთ ფული იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც ჩვენის ბანკის დამფუძნებელ-წევრებად არ ითვლებიან და სესხი 1.500,000 მან. აქვთ გატანილი. თუ ჩვენთან ერთად ყოფნა და ამხანაგობა არ უნდათ, შეღავათი რად უნდა მივცეთ. ჩემის აზრით, ვისაც დავუკლებთ, 1/2% ერთბაშად არ უნდა დავუკლოთ: ჯერ 1/8 ჩამოუკლოთ, მერე კიდევ 1/8 და წლის შემდეგ 1/4%. ერთბაშად 1/2% რომ დავაკლოთ, ჩვენი მოგებაც 45—60 ათასით ანათით იკლებს, ცოტ-ცოტა რომ შევამციროთ, ბევრი-ბევრი 18,000 მან. შემცირდეს ჩვენი მოგება. აქ სასწავლებლის შესახებ ჩამოაგდეს ლაპარაკი. საზოგადო საჭიროებისათვის ეხლა მოგების 35%-ია გადადებული, ხოლო, რადგან დივიდენდი შევამციროთ 10%-ით,—45%. ეს დივიდენდი რომ სულ მოგვესპო, 55% გვექნებოდა. ამას განსაკუთრებულ თანხიდგანაც 5% მივუმატებდით და 60% კარგად გაუძლებოდა ყოველსავე ჩვენს საჭიროებას.

ა. ი. კობიაშვილი. მეც ზედამხედველ კომიტეტის წევრი გახლავართ და უფრო დიდი ხანიც, ვიდრე ბ-ნი მუსხელიშვილი. იმისი ანგარიში მართალი არ არის, რადგან ეს საქმე ჯერ ისე კარგად არა აქვს შესწავლილ-გაცნობილი. მე ვამტკიცებ, რომ თარხნიშვილი არა სტყუის, როცა ამბობს, რომ მოგება მაინც და მაინც გვექნებაო. თქვენს ყურადღებას მივაქცევ გამგეობის მოხსენებაზედ, რომელზედაც ი. გ. მაჩაბელსაც ხელი უწერია, სადაც ნათქვამია, რომ ამ წელს მოგება—12,000 მან. იკლებსო. ეხლა-კი ამბობენ, რომ 45—60,000 მან. იკლებს მოგება და დავიღუპებითო. მე-კი მოგახსენებთ, რომ მართლა არ გვექნება მოგება, თუ 1/2% არ დავაკლით.

გ. ნ. ჩერქეზიშვილი. ჩემის აზრით, საგანი საკმაოდ გამოირკვა. მხოლოდ ყურადღებას მივაქცევ დ. ი. მუსხელიშვილის მიერ ნათქვამს, რომ არა-დამფუძნებელ თავად-აზნაურთ ნუ მივცემთ შეღავათს, შემოგვიამხანაგდნენო. ჯერ ერთი, მთავრობა ნებას არ მოგვცემს, რომ ჩვენის მსესხებლებისთვის რაღაც დასასჯელი ღონისძიებანი შემოვიღოთ, და მეორე—არც სასურველია. ჩემის აზრით, ამხანაგი საზოგადო საქმეში მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა თითონვე გულით არის მოწადინებული ჩვენს ამხანაგობას. იმაზედ უარესი ამხანაგი არ შეიძლება, როგორიც ის ადამიანი იქნება, რომელსაც ძალის-ძალათი შეაბამთ უღელში.

გ. გასნაძე. მეოთხე დღეა, გაჭირვეულებით ვლაპარაკობთ და ის-კი გვავიწყდება, რისთვის არის დაარსებული ბანკი. როცა ბანკს ვაარსებდით, უმთავრეს საგნად ისა გვქონდა, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ხელი გავუმართოთ, მამულები შევარჩენინოთო, და მერე კიდევ ის, რომ დახუჭული თვალები მამა-პაპისა შვილებს ავუხილოთო. სწორედ გაჭირვებული მოადგება ხოლმე ბანკს კარზედ და შეღავათი რატომ არ უნდა მისცეთ და ვალის გადახდა არ შეაძლებინოთ? გაუჭირვებელი ვინ აიღებს ვალს? ღმერთმა დამიფაროს, ჩვენის ბანკიდგან ვალი ავიღო! გიჟი ვიქნები, 54 წლით ვალი ავიღო და შვილიშვილებსაც გადასახდელი დავუტოვო? თუ შეღავათი არ მიეცით, ე მამულები ხომ გაეყიდათ და მერე სად წავიდნენ, მთვარეზედ ხომ ვერ ავლენ, კიბე სად არის, თუმცა ამბობენ, მიწა იქაც არისო? თუ მართლა იქ ნაკლებია, აქ ვილა დადგება. აქ სასწავლებელს წამოსჩხირავენ ხოლმე წინ, იმ სასწავლებელს, რომელსაც მაგდენი სარგებლობაც არა მოქვს-რა, და ბანკის ავ-კარგიანობას სასწავლებლის სიკეთის კვალობაზედ სწონავენ. სასწავლებელი სხვაა და ბანკი—სხვა. თუ სასწავლებელზედ გნებავთ ლაპარაკი, ცალკე კრება დაჰნიშნეთ და მიგვიწვიეთ. მაგ სასწავლებლის დაარსებიდგანვე ერთმა ჭკვიანმა კაცმა გვითხრა, რომ ნუ აჩქარდებით, სასწავლებლის ფული მოვაგროვოთ, კარგა ძალი თანხა შევყაროთ და მერე დავაარსოთ მკვიდრი სასწავლებელი, რომ იმის კეთილდღეობა ბანკის ავ-კარგიანობაზედ აღარ იყოს დამოკიდებული და თავის თავის შენახვა თითონვე შეეძლოსო. ჩვენ იმდენი ჭკუაც ვერ გამოვიჩინეთ, რომ ეს რჩევა მოგვეწონებოდა, და მას შემდეგ თანდათან უკან მივდივართ: აქამდე ხუთი კლასი გვქონდა, ეხლა ორიც ძლივს შეგვინახავს. ნახევარ მილიონი ფული ჩავყარეთ და აბა რა სიკეთე დაგვეყარა მაგ სასწავლებლიდგან, რომ ეხლა კიდევ მაგის გულისათვის მსესხებლები შემოვიფრთხოთ. რა საჭიროა სასწავლებელი, თუ თავად-აზნაურობა სესხის სიძვირის გამო შემოსატანს ვალს ვერ შემოიტანს და უმამულოდ, უმიწა-წყლოდ დარჩება! დალოცვილებო, მარტო ლაპარაკი ხომ არ არის საქმე. ათი ბარდანა გაბერეს, იმდენი ილაპარაკეს, და ერთის ბოთლის საფასური-კი არა გამოვიდა-რა.

ი. ს. ყორღანოვი. მე მსესხებელი გახლავართ ამ ბანკისა, და დიდადაც თანავუგრძნობ ბანკის სიკეთეს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობაც წარმოიდგინეთ: ბანკისა მმართებს 70,000 მან. ეს ფული რომ საკრედიტო საზოგადოებიდგან გამოვიტანო, 900 მან. ნაკლები შესატანი მოვა წელიწადში. ამასთან ნურც იმას დაივიწყებთ, რომ საკრედიტო საზოგადოებაში 900 მანეთით ნაკლები უნდა შევიტანო და ვალს 25 წელიწადში გადავწყვეტავ, აქ-კი 900 მან. მეტი უნდა შემოვიტანო და ვალს-კი მაინც მხოლოდ 36 წლის შემდეგ გადავწყვეტავ. ერთის სიტყვით, მეტი უნდა დამეკარგოს სულ 36,000 მანეთამდე. დამეთანხმეთ, რომ ამდენს ფულს ეგრე ადვილად არავინ დასთმობს. ეხლა სწორედ მაგის ფიქრში ვარ, გადავიდე, თუ არა-მეთქი. თუ აქამდე დავრჩი, მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი მქონდა, ეხლა 1/2% დაუკლებენ და მერე კონვერსიაც მოგვეშველება-მეთქი.

ა. ი. კობიაშვილი. კვლავ ვიმეორებ, რომ ჩვენი ხსნა სწორედ % დაკლებაა, ამას ვერაფერით გვერდს ვერ ავუხვევთ. თუ ეს კრება არ დაგვრთავს ნებას, იძულებულნი ვიქნებით ერთის, ან ორის თვის შემდეგ კვლავ მოვიწვიოთ საგანგებო კრება და ვთხოვოთ; თუ მაშინაც წინააღმდეგნი იქნებიან, მეტი ღონე არ არის ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ თავი უნდა დაანებონ სამსახურს. თუ დარჩება ვინმე, შეიძლება მხოლოდ ი. გ. მაჩაბელი დარჩეს.

ი. გ. მაჩაბელი თუ ის არ ეყოფათ, რომ 5% გირავნობის ფურცლებს გამოვცემთ ეხლა, 1% დააკლებდით და მაინც გადავლენ, მერე ჩვენ 5% გირავნობის ფურცლებს 4%-ად გავხდით და ისევ ჩვენთან მოვლენ.

ი. გ. ჭიჭინაძე. თარხნიშვილი და კობიაშვილი მართალს ამბობენ. აქა სთქვეს, რომ სასწავლებელი დაიკეტება, თუ 1/2% დააკლითო. მე წინადმდეგს მოგახსენებთ, თუ 1 1/2% იქნება უწინდელებრ, სასწავლებელი დაიღუპება, იმის შენახვის იმედი აღარ მექნება. გირჩევთ, რომ უსათუოდ დააკლოთ. აქ დღეს ერთმა მსესხებელთაგანმა, ი. ს. ყორღანოვმა დაგანახვათ, რომ სტოკავს და გადასვლისაკენ უწევს გული. გარწმუნებთ, ბატონებო, რომ, მარტო ეგ-კი არა, ყველა ტფილისის მსესხებელი მოუთმენლად ელის თქვენს გადაწყვეტილებას და თავს დაგვანებენ, თუ სესხს არ გაუიაფებთ.

სამს საათზედ კრებამ საქმეების განხილვა ნახევარ საათით შეაყენა და შემდეგ ფეხზედ ადგომით თითქმის ერთ-ხმად გადასწყვიტა, რომ დავაკლოთ 1/2% და ზედამხედველს კომიტეტსა და გამგეობას მივანდოთ, რომ თუ საქმემ მოითხოვა, ეს რიცხვი 3/4%-მდეც ჩამოახდუნონო. ნაშუადღევის ოთხს საათზედ კრება საღამოს შვიდის საათისთვის გადაიდო.

საღამოზედ კრებამ მოისმინა მოხსენება იმის შესახებ, რომ ვიშუამდგომლოთ: 4% გირავნობის ფურცლების გამოცემის უფლება მოგვცენ; უფლება იმისი, რომ საკრედიტო კანცელარიის ნება-რთვამდე გირავნობის ფურცლები მზადა გვქონდეს ავანსად მოცემული და მსესხებელს აქ გადაწყვეტილ სესხის ნახევარი მივცეთ, ვიდრე დანარჩენს კანცელარია დაამტკიცებს, და აგრეთვე იმისიც, რომ ქალაქის მამულებს დანაფასებისა 75% მივცეთო. საზოგადო კრებამ ეს წინადადება დაამტკიცა და ამასთან დაადგინა, ვითხოვოთ აგრეთვე იმისი უფლებაც, რომ სოფლის მამულებზედ დანაფასების 60% მიცემა შეგვეძლოსო. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება იმის შესახებ, რომ ხანგრძლივის ვადით გაცემულ იქმნას სესხი ხეხილიანს ბაღ-ვენახზეო. კრებამ დაადგინა: ამ საქმის პროექტის შედგენა მიენდოს ზედამხედველს კომიტეტსა და გამგეობას, იმ პირობით, რომ პროექტი წარმოუდგინონ საგანგებო საზოგადო კრებას საკრედიტო კანცელარიაში დასამტკიცებლად გაგზავნამდეო. ღამის 12 საათზედ კრება გადაიდო 18 მაისის დილის 10 საათისათვის.

(შემდეგი იქნება)

## მორიგი კრება

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა

(შემდეგი. იხ. „ივერია" № 109 და 110)

23 მაისი

სხდომა 11-ს საათზე დაიწყო.

ერთი წევრი-დამფუძნებელი თხოულობს, ჩემი საწევრო წილის ფული, სამასი მანეთი, დამიბრუნეთ, რადგან მეტის-მეტს გაჭირვებაში ვარ, ან თუ არა და, შემწეობა მომეცითო.

ზოგიერთი იმ აზრისაა, რომ წილის ფულის უკანვე გატანა შეუძლებელია და სხვაფრივ, თუ შესაძლოა, უნდა დავეხმაროთ მაგ კაცსაო.

კრებაც ბანს აძლევს, უნდა შევეწიოთო.

გ. ზ. ლორთქიფანიძე ურჩევს საზოგადოებას, თითო დეპუტატს თვითურად ექვს-ექვსი თუმანი დავუნიშნოთო (ეს აზრიც შეწყნარებულ იქმნა).

შემდეგ ბ-ნმა კ. ლორთქიფანიძემ სთხოვა, რომ ექიმი თოფურია შემწეობას თხოულობს თავის საავადმყოფოსათვის და ჩვენც უსათუოდ უნდა დავეხმაროთ, რადგანაც ეგ საქმე საზოგადო საქმეა. ამ ერთის წლის განმავლობაში საავადმყოფოში 6,000 კაცი მისულა. ამათგან 2,500-ზე მეტი თავადი და აზნაური ყოფილა. აქედგან დაინახავთ, რომ ეგ საავადმყოფო მთელის თავად-აზნაურობისათვის საჭირო ყოფილა. (კრებაში ჩოჩქოლი ატყდა. ზოგი იძახის-კიო, ზოგი—არაო).

ბ-ნი პ. ზ. ჩხეიძე ამბობს, რომ ბ-ნი თოფურია თავისს საავადმყოფოში ღარიბებს მუქთად სწამლობსო და ამიტომ ეს კაცი ღირსია ჩვენის დახმარებისაო: აღმოჩენა-კი წყაროსი, თუ საიდგან უნდა მიეცეს შემწეობა, კომიტეტს და გამგეობას მივანდოთო.

თავ. კ. გ. დადიანი. საყვედურს ეუბნება საზოგადოებას, რომ მეგრელების და ლეჩხუმელებლის თხოვნა არც ერთი არ იქმნა შეწყნარებულიო; თოფურიას სათხოვარსაც ისე უპირებთ მოკიდებას და ეს ჩვენთვის სასიამოვნო არ არისო.

გ. ზ. ლორთქიფანიძე. მე ვიცი, თავ. კ. დადიანი მემდურის, რომ არ დავსთანხმდი გუშინ ათასის მანეთის მიმატებას მარშლისათვის. ამის მიზეზს, თუ ჰნებავს თავადს, ცალკე მოვახსენებ, და ეხლა-კი უნდა ვსთქვა, რომ ბანკს შეუძლია, თოფურიას შემწეობა მისცეს. აქ ბ-ნმა ლორთქიფანიძემ ბანკის შემოსავლ-გასავლის ანგარიში გაარჩია და სთქვა, ხარჯებს ბანკი გაუძლებსო; ჩვენი ბანკი არც ისეთია, რომ ამაზედ უკეთესი არ იყოს დედამიწის ზურგზე, და არც ისეთია, რომ ამაზედ უარესიც არ მოიპოვებოდესო.

თავ. დ. გ. წულუკიძე. სწორედ ყველაზე უარესია...

ბ-ნ თოფურიას საქმე კრებამ კომიტეტს მიანდო.

ოთხი წევრი უნდა აირჩიონ კომიტეტისა. კრების თხოვნით, წაკითხულ იქმნა წერილი თავ. ს. გ. წერეთლისა და დაადგინა, მადლობა მოხსნდეს თავ. წერეთელს.

დასახელებულნი იქმნენ კანდიდატებად ბბ. მ. ა. ქიქოძე, დ. კვირკელია, დ. ო. ნიჟარაძე, ა. გ. წულუკიძე, პ. გ. ჩხეიძე, დ. ნ. ბაქრაძე და ს. ი. აბულაძე. ბ-ნ ქიქოძის მხრით ს. ჩხეიძემ გამოაცხადა, რომ უკენჭოდ თუ ამომირჩევთ, თორემ არ მინდა, ყუთს არ დავიდგამოო. თავ. დ. ნიჟარაძე სთხოვს კრებას, უკენჭოდ თუ ამირჩევთ, ხომ კარგი, თორემ კენჭში გამოსვლას ვერ გავბედავო. დიდი უმრავლესობა იძახის, წევრები კომიტეტისა უკენჭოდ, ერთ-ხმად ავირჩიოთო. უმცირესი ნაწილი კრებისა-კი, რაც ძალი და ღონე აქვს, იძახის, რომ უკენჭოდ არ შეიძლება, ყველას კენჭი უნდა ეყაროსო. ამ ძახილსა და ყვირილში თითქმის ერთი საათი დრო გადის. უკენჭობის მომხრენი გადიან დარბაზიდგან იმ იმედით, რომ შიგ არავინ დარჩებაო, მაგრამ კენჭის ჩამოტარების მსურველნი თავისს ადგილებს არა სტოვებენ. ბ-ნმა თავმჯდომარემ არ იცის, რა ჰქნას: დაემორჩილოს უმრავლესობას, თუ უმცირესის კანონიერი მოთხოვნილება აღასრულოს. თ. ვ. მ. ერისთავი, მ. გ. მიქელაძე, ჯ. გურიელი, კ. დადიანი, დ. წულუკიძე, გ. აბაშიძე და სხვები უსათუოდ კენჭსა თხოულობენ. ამათგან ხმა მოდის: ბ-ნო თავმჯდომარევ, თუ თქვენი ნებაა, ჩვენ რას გვაწუხებთ, აირჩიეთ წევრები უჩვენოდ, და თუ ჩვენი ნებაა, გთხოვთ კენჭი ჩამოატაროთ; კანონი დაიცევით.

დ. ვ. ხელთუფლიშვილი. ყვირილით საქმის გადაწყვეტა არ შეიძლება, ჩვენ ყვირილი არ შეგვიძლია და განა ამიტომ ყური არ უნდა გვიგდოთ? უსათუოდ კენჭი უნდა ჩამოუტაროთ კანდიდატებს.

თავ. ნ. დ. ერისთავი (წევრი გამგეობისა); სადაა ნათქვამი, უსათუოდ კენჭით უნდა აირჩიონო, უკენჭოდ რა უშავს?

დ. ვ. ხელთუფლიშვილი. სად არის და იქ არის, რომ ამას თვითმართველობისა და საჯარო არჩევანის წესი და რიგი მოითხოვს. ამიტომ უფლება არა გაქვთ, უკენჭოდ გადასწყვიტოთ საქმე. ზოგმა კანდიდატმა, სახელდობრ, დ. ნ. ბაქრაძემ, დ. ძ. კვირკელიამ უარი განაცხადეს, ბ-ნი ქიქოძე და ნიჟარაძე დასთანხმდნენ კენჭზე. ხუთმა კაცმა ჩამოიტარა კენჭი. ამ სახით კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ, ნაცვლად თავ. ს. წერეთლისა, ლ. ნ. ასათიანისა, ა. ნ. ლორთქიფანიძისა და პ. გ. ნაკაშიძისა, ნაფიცი ვექილი ბ-ნი მ. ა. ქიქოძე (236 თ.—21 შ.), კანდიდატი ქუთაისის მაზრის მარშლისა თავ. დ. ო. ნიჟარაძე (204 თ.—49 შ.), სამსახურიდგან გადამდგარი პოდპოლკოვნიკი თავ. ა. გ. წულუკიძე (203 თ.—51 შ.), და კერძო ვექილი ბ-ნი მ. დარახველიძე (220 თ.—20 შ.); კერძო ვექილს ბ-ნ პ. გ. ჩხეიძეს 158 თ. და 97 შავი ამოუვიდა და და რადგან მხოლოდ ოთხი წევრი იყო საჭირო, ამიტომ ბ-ნი ჩხეიძე ამოურჩეველი დარჩა.

ბ.ბ. დ. ვ. ხელთუფლიშვილისა და გ. დ. ბაქრაძის მაგიერ, რომლებმაც უარი განაცხადეს გამგეობის წევრის კანდიდატობაზე, უკენჭოდ არჩეულ იქმნენ ნაფიცი ვექილი ბ-ნი გ. ს. აკოფოვი და კერძო ვექილი ბ-ნი პ. გ. ჩხეიძე, რომელმაც კომიტეტის წევრობისათვის ჩამოიტარა კენჭი.

ამით დასრულდა ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის წლიური კრება. ნაშუადღევის სამი საათი და ნახევარი იყო, როცა ბ-ნმა თავმჯდომარემ კრება დაითხოვა.

ა. ნა—ლი

## დეპეშა

25 მაისს

**პარიჟი.** ესკადრა კონტრ-ადმირალის ჟერვეს წინამძღოლობით წავა ჩრდილო ზღვაში 8 ივნისს. ესკადრაშია ოთხი ჯავშნიანი ხომალდი, კრეისერი, სატორპედო გემი და ორიც მინის მიმცემი პატარა გემი. გზაში ესკადრა გაივლის ბერგენს, კოპენჰაგენს, სტოკჰოლმს, ივლისის დამლევს კრონშტატს მივა და აქედამ

ხრისტიანზუნდს, ედინბურგს, პორტსმუტს და პლიმუტს გამოივლის და დაბრუნდება ბრესტში ენკენისთთვის დამდეგს.

26 მაისს

**ბერლინი.** კირკილისიდამ დეპეშით იუწყებიან, რომ დატყვევებულთა დახსნას ავაზაკები თხოულობენ მაშინისტის ფრეიდიგერის შუამავლობითაო. კვირას ფრეიდიგერი მივიდა კირკილისში. დატყვევებულნი ჯამმრთელად არიან.

**პერა.** ფრეიდიგერი, ოთხის კაცის თანადასწრებით, წავა იმ ადგილას, რომელიც დაუსახელეს ავაზაკებმა და დატყვევებულთ გადასცემენ მათ, თუ რომ ჯარი წყნარად იქნება.

**სტამბოლი.** დღევანდელს სალამლიკის შემდეგ სულთანმა ინახულა გერმანიის ელჩი რადოვიცი და გამოუცხადა, რომ ავაზაკების საწინააღმდეგოდ საშუალება იქმნება მიღებულიო.

27 მაისს

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩი პარასკევს გემით სუნგაჩსა და უსურით ქვეითკენ წაბრძანდა.

გარდაიცვალა გრაფინია ნადეჟდა სერგეის ასული ბოგარნე, ქვრივი ჰერცოგის ნიკოლოოზ მაქსიმილიანის ძის ლეიხტენბერგისა.

„Нов. Время“ იუწყება, რომ ივლისის მე-20 რიცხვებში პეტერბურგს მოვა განსაკუთრებული მისსია პრინცის არისუგავას თავს დგომითაო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 მაისი.

| | მყიდვე-ლნი. | გამყიდ-ველნი. | გაყიდ-ული. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $6^{3}/_{4}$ | 6 78 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $135^{1}/_{4}$ | $135^{3}/_{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 03 | 1 05 | — ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $243^{3}/_{4}$ | — ,, | 244 |
| —მეორისა . . . . | 222 | — ,, | 223 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | $210^{1}/_{2}$ | — ,, | 212 37 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 101 62 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## სამოსამართლო პალატა

29 მაისისათვის, სხვათა შორის, შემდეგი საქმეებია გასარჩევად დანიშნული:

ოპელაციური საჩივარი ივანე ნათაძისა, ზაქარია შათაკლიშვილისა და სხვ. ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ ავგუსტ ზეზემანთან ზეზემანისადმი კუთვნილის რკინის გზის მოწყობილების აყრის თაობაზედ.

ოპელაციური საჩივარი პეტროსა ნალბანდოვისა და ნაზერთ მადაევისა ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ 5000 მანეთის თაობაზედა

ოპელაციური საჩივარი ვექილის ბეგლარ ფერშანგოვის — ევანგულოვისა ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებაზედ სტეფანე მებურნუთოვის მემკვიდრეებთან 5,000 მანეთის თაობაზედ.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ბანკის თეატრი

სამშაბათს, 28 მაისს, წარმოდგენილი იქნება

## ფედრა

ტრაგედია 5 მოქ. თხზ. რასინისა. ფედრის როლს ასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა, არისია—ერმოლოვა-კრეჩეტოვისა.

ოთხშაბათს, 29 მაისს, წარმოდგენა არ იქნება

ხუთშაბათს, 30 მაისს, წარმოდგენილი იქნება

## კაშირსკაია სტარინა

დრამა 5 მოქმ. თხზ. ავერკიევისა. მარიცის როლს ასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა, გლაშისას—ა. ნ. ერმოლოვა-კრეჩეტოვისა.

გაუწყებთ საზოგადოებას, რომ პიესის „**Подъ властью сердца**“-ს მაგიერ კვირას, 2 ივნისს, წარმოდგენილი იქნება „**Василиса Мелентьева**“. ბილეთები, რომელიც აღებული იყო პირველს პიესაზე დასასწრებლად, გამოსადეგი იქნება მეორეზედაც.

დასაწყისი $8^{1}/_{4}$ საათზედ

## ისყიდება

დუქნები

სამი სამ-სართულიანი ორის ოთახით **ავლაბარში 7**, ნაწილში სირაჯხანის თავზე. იკითხეთ მეპურეთ **არშაკ აშხარუმოვი.** (3—2)

ახლად გავმართე ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის სასწორის პირდაპირ, **მარტიროზ ნუნუფაროვის** ქარვასლაში:

სასტუმრო ოთახები

## „კახეთი“.

ოთახები ხელ-ახლად არის გადაკეთებული, ფრიად სუფთაა, ნათელი და ყოველისფრით მოწყობილი; ძალიან იაფ ფასად ქირავდება; იქვე გვაქს დიდი ეზო თავლებითურთ მოგზაურთათვის, თუ ვინიცობაა დასჭირდათ. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელს წიგნთსაცავსა და ქართველთა წიგნთ გამომცემელთ მაღაზიაში

## მეფე დავით აღმაშენებელი

ისტორიული დრამა, ოთხს მოქ. თხზულება.

თ. ალ. ჯამბაკურია-ორბელიანისა

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა

ფასი თრი აბაზი.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |

საგალანტერეო მაღაზია

## პ. ი. ბროდსკისა

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—1)

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„**ურბენი**“ (**LURBAINE**)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „**ურბენ**“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ აკადმყოფის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—18)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 27-го Мая 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**